



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 იანვარი 2024



N 57/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. რუსთავში, შპს „ლევი 2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ლევი 2019“-ის (ს.კ 416349749) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 2 აგვისტოს (წერილი N7320) წარმოდგენილია ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N387/ს (09.08.2023); N663/ს (29.11.2023)) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ზეციხელი 2010“-ის მიერ.

აღნიშნულ საქმიანობაზე (ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“-ს ცემენტის წარმოებაზე) 2021 წლის 15 ივლისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1080), რომელიც 2022 წლის 18 ივლისის N2-503 ბრძანების საფუძველზე გადაეცა შპს „ლევი 2019“-ს.

2023 წელს შპს „ლევი 2019“-ს მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N11/ბრძანება N234/ს; 25.05.2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილები N21/8824 და N21/9684), შპს „ლევი 2019“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილები N10615 და N11344). კერძოდ: დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული რეალობის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმო ობიექტების სრული ჩამონათვალი, ასევე დაზუსტდა ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი, კლინკერის ჩამოცლის/დასაწყობების საკითხები. ასევე წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების კორექტირებული პროექტი. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N663/ს; 29.11.2023;), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით

საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2023 წლის 18 ოქტომბერს განხორციელდა ქ. რუსთავში, შპს „ლევი 2019“-ის ცემენტის საწარმოს ინსპექტირება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ განხორციელდა დამატებით 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის, ნედლეულის მიმღები ბუნკერის და დამატებით 4 ერთეული ცემენტის სილოსის მონტაჟი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. გამოვლენილ დარღვევებზე შპს „ლევი 2019“-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084115 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2021 წლის 15 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-1080) განსაზღვრული პირობების შესრულების თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში (ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ) შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.042), რომლითაც შპს „ლევი 2019“ სარგებლობს აღნაგობის უფლების საფუძველზე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს ახალი 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილისა და 4 ცალი თითოეული 120 ტ მოცულობის სილოსის ექსპლუატაციას. საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სოფ. თაზაქენდის ტერიტორიაზე და დაშორებულია დაახლოებით 195 მ-ით. ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 50 მეტრში გადის სარწყავი არხი ე.წ მარის არხი. საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ გადის ქ. რუსთავის შიდა საავტომობილო გზა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით 330 მეტრში რკინიგზა. საპროექტო ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთით 10 მეტრში ესაზღვრება შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის საწარმო, ჩრდილო-დასავლეთით ტერიტორიის საზღვრიდან დაახლოებით 85 მეტრში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ტერიტორია, სადაც, ასევე, განთავსებულია შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების ქარხანა, სამხრეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება შპს „ბუჩარდას“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 02.07.02.002), სადაც განთავსებულია სამშენებლო ბლოკების საამქრო, დასავლეთით 80 მეტრში შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ (ყოფილი შპს „ნიკა 2004“) ფეროშენადნობთა წარმოების ქარხანა, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 190 მეტრში მდებარეობს შპს „ჯეოფერო მეტალის“, 130 მეტრში შპს „ობ გრუპის“, ხოლო 250 მეტრში შპს „ჯეომეტალ გრუპის“ ფეროშენადნობთა ქარხნები. სამხრეთით 150 მ მანძილზე განთავსებულია შპს „ექსდი 22“-ის, ხოლო დასავლეთით 30 მეტრში შპს „ჩახვაძე და კომპანია“-ს სასაწყობო ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ შპს „ლევი 2019“-ის საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში არ ხვდება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ტექნოლოგიური დანადგარები (გაფრქვევის წყაროები), გარდა შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების დანადგარებისა.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედებისა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროებისა და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, ხოლო ახალი, აუთვისებელი ტერიტორიის შერჩევა მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების

ცვლილებით გათვალისწინებული წისქვილის განთავსებისთვის ახალი ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა.

შპს „ლევ 2019“-ის საქმიანობა ამჟამად მოიცავს 12 ტ/სთ წარმადობის მქონე ბურთულეებიანი წისქვილში სხვადასხვა მარკის მქონე (300, 400 და 500) ცემენტის წარმოებას, კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვითა და შერევით. საწარმოში 330 დღიანი 20 საათიანი სამუშაო გრაფიკით მიმდინარეობს წელიწადში 79200 ტონა ცემენტის წარმოება, რისთვისაც ასევე განთავსებულია 6 ცალი (თითოეული 120 ტონიანი) სილოსი. 79200 ტონა ცემენტის წარმოებისათვის ხორციელდება 63360 ტონა კლინკერის, 3960 ტონა თაბაშირის და 11880 ტონა დანამატების დაფქვა.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოს ტერიტორიაზე ფარდულის ტიპის შენობაში უკვე მოწყობილია 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილი. შესაბამისად, ამჟამად საწარმოში განთავსებულია ორი, 12 ტ/სთ და 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილები, საიდანაც მხოლოდ 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილი ფუნქციონირებს. ფარდულის ტიპის შენობაში ასევე განთავსებულია ნედლეულის მიმღები ბუნკერი და წისქვილში ნედლეულის მისაწოდებელი ლენტური ტრანსპორტიორი. საწარმოში არსებულ 6 ცალ სილოსს დაემატა 4 ცალი იმავე მოცულობის (120 ტ) ახალი სილოსი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია მილებით და მათგან გამოყოფილი აირმტვერნარევი მოხვდება ერთიან გამწმენდ სისტემაში, სახელოებიან ფილტრში. შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 10 სილოსი, საერთო მოცულობით 1200 ტონა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია საწარმოს წლიური წარმადობის გაზრდა 191400 ტონამდე, რისთვისაც გათვალისწინებულია 153120 ტონა კლინკერის, 9570 ტონა თაბაშირის და 28710 ტონა დანამატების დაფქვა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის შეტანა-დასაწყობებას, წისქვილებისთვის (12 ტ/სთ და 17 ტ/სთ) მიწოდებას და დაფქვას. ნედლეულის (კლინკერი, თაბაშირი და დანამატი) შემოტანა საწარმოში ხორციელდება ავტოტრანსპორტით და საწყობდება დახურულ საწყობში, ხოლო დიდი რაოდენობით ღორღის შემოტანის შემთხვევაში მისი დასაწყობება მოხდება ღია ტერიტორიაზე. საწყობიდან ნედლეული ავტომტვირთავების საშუალებით, გადაიტანება ბეტონის მოედანზე. კაზმის კომპონენტების დოზირება და შემდგომ მათი ერთმანეთში არევა ხდება ავტომატვირთველების საშუალებით. შემდგომ კაზმი გადაიტანება წისქვილის მიმღებ ბუნკერებში, ხოლო აქედან ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება ბურთულეებიან წისქვილს. კაზმის მიწოდების რეგულირება ხდება მკვებავი ბუნკერების ძირში განთავსებული ღიობის სიდიდისა და(ან) ლენტური კონვეიერის სიჩქარის მეშვეობით. კაზმით კვების რეგულირება ასევე შესაძლებელია ტრანსპორტიორის სიჩქარის ცვლილებით. კაზმის დაფქვის შემდგომ მიღებული სხვადასხვა მარკის ცემენტი ასპირაციის მილით ხვდება წისქვილის სამტვერე საკანში, საიდანაც მტვრის დაჭერა მოხდება წისქვილზე დამონტაჟებული ციკლონის და სახელოიანი ფილტრების საშუალებით. რის შემდგომაც ცემენტი გადაიტანება ელევატორში, სადაც ემატება მტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი ცემენტი და პნევმოტრანსპორტის მილის მეშვეობით გადაიტვირთება ცემენტის სილოსებში. საწარმოდან ცემენტის გაცემა ხდება როგორც ნაყარის სახით, ასევე 50 კგ-იან ტომრებში დაფასოებული ფორმით, ავტოტრანსპორტის გამოყენებით.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში არ არის გათვალისწინებული სამუშაო რეჟიმის ცვლილება, შესაბამისად საწარმო იმუშავებს წელიწადში 330 დღე, 20 საათიანი გრაფიკით. ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი, რაც ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ გახდება 55.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ხორციელდება ძარაგადახურული ავტოტრანსპორტით, რომლის სიხშირე დღეში არ აღემატება 44 ერთეულს. ტრანსპორტირება ხორციელდება ქალაქ რუსთავის ასფალტირებული საავტომობილო გზით, მშენებელთა ქუჩის გავლით, რომელიც დასახლებული არ არის. მათი მოძრაობა ხდება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში აკრძალულია როგორც ნედლეულის, ასევე პროდუქციის გატანა-შემოტანა. საწარმოს სრული დატვირთვის პირობებში გათვალისწინებულია დღეში საშუალოდ 24 ერთეული ავტოთვიტმცლელის გამოყენება ნედლეულის მიღებისათვის, ხოლო პროდუქციის გატანისათვის - 20 ერთეული ცემენტმზიდის.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: არაორგანული მტვერი (20%-მდე  $\text{SiO}_2$ ) და ცემენტის მტვერი (70-20%  $\text{SiO}_2$ ). გზმ-ის ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 12 წყარო. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, 12 ტ/სთ წარმადობის არსებული წისქვილი აღჭურვილია ერთიანი, სამსაფეხურიანი აირგამწმენდი სისტემით: I საფეხური – დამლექი კამერა 10%-იანი ეფექტურობით; II საფეხური - ციკლონი 75%-იანი ეფექტურობით და III საფეხური, სახელოებიანი ფილტრები 99.9%-იანი ეფექტურობით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილი ასევე აღჭურვილია ანალოგიური ეფექტური აირგამწმენდი სამსაფეხურიანი დანადგარებით. გამონაბოლქვი აირმტვერნარევის გაწმენდის შემდეგ დაჭერილი ცემენტის მტვერი უბრუნდება ცემენტის ელევატორს. ცემენტის 12 ტ/სთ წარმადობის არსებული წისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 12 მეტრი სიმაღლის და 0.5 მეტრი დიამეტრის მილით, ხოლო ახალი 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილიდან - 16 მ სიმაღლისა და 0.6 მ დიამეტრის მილით. არსებული წისქვილის მსგავსად, 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილზე გათვალისწინებულია 2.8 მ სიგრძის 54 ცალი სახელოებიანი ფილტრის, 1.2 მ დიამეტრის ციკლონის და დამლექი კამერის (ზომებით 1x2x4 მ) მოწყობა. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, არსებულ 6 სილოსზე გათვალისწინებული იყო გამწმენდი სისტემის - სახელოებიანი ფილტრის დამონტაჟება, თუმცა მოხდა მათი ერთმანეთთან მიღებით შეერთება და ერთი სახელოებიანი ფილტრის მოწყობა, რომელიც ემსახურება 6 სილოსს ერთდროულად. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 4 ახალი სილოსიც ანალოგიურად, ერთიანი გამწმენდი სისტემით იფუნქციონირებს. სილოსებში ცემენტის მიღება ხორციელდება მონაცვლეობით რეჟიმში. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში არსებულ 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილზე დამონტაჟებულია PFM 20 ტიპის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემა, რომელიც ასევე დამონტაჟებული იქნება 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილზე. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებული იქნა საწარმოს მიმდებარედ არსებული შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ (ყოფილი შპს „ნიკა 2004“) ფეროშენადნობების წარმოების და შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის წარმოების, შპს „ობ გრუპის“, შპს „ჯეოფერომეტალის“ და შპს „ჯეომეტალ გრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ობიექტებიდან და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის იმ წყაროებიდან, რომლებიც ხვდება 500 მეტრიან რადიუსის ზონაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინტენსივობები და ასევე, ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი

ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას საწარმოდან უახლოეს მოსახლესთან (დაახლოებით 195 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად. გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში არსებული 12 ტ/სთ წარმადობის წისქვილი განთავსებულია დახურულ შენობაში, ხოლო 17 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ფარდულის ტიპის შენობის ღია მხარეს, შენობიდან 4 მეტრში დამონტაჟებული იქნება ხმაურდამცავი ეკრანი, კერძოდ 2 მეტრი სიმაღლისა და 12 მ სიგრძის ბეტონის კედელი. დოკუმენტაციის მიხედვით, ხმაურის გაანგარიშება შესრულებულია ყველაზე უარესი სცენარით, მაქსიმალური ხმაურის წარმოქმნის პირობებში, ხმაურის ჯამური დონე საპროექტო ტერიტორიაზე 93.5 დბა-ს, ხოლო უახლოეს მოსახლემდე ზემოქმედების გათვალისწინებით არ აღემატება 40 დბა-ს. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო (816.75 მ<sup>3</sup>/წელ) მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის აღება მოხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან. საწარმოო მიზნებისათვის წყალი არ გამოიყენება. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები (735.075 მ<sup>3</sup>/წელ) ჩაშვებული იქნება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში. ვინაიდან, საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების რისკი მცირეა. საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია მონოლითური რკინაბეტონის ღია ტიპის არხების მოწყობა, რომლის მეშვეობითაც საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები სანიაღვრე არხებით ჩაედინება საწარმოს ტერიტორიის გარეთ არსებულ სადინარებში, საიდანაც საბოლოოდ მოხვდება გზის გაყოლებაზე გამავალ სანიაღვრე არხებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოს საქმიანობის დროს ხდება მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი მტვრის შეგროვება, ცემენტის სილოსებში განთავსება და რეალიზაცია. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე განხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა საწარმო ობიექტები, როგორცაა შპს „მაქს იმპორტი“, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, შპს „ინდუსტრია კირი“, შპს „ბუჩარდა“, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენი“, შპს „ობ გრუპის“, შპს „ჯეოფერომეტალის“ და შპს „ჯეომეტალ გრუპის“ ობიექტები. შესაბამისად მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები, ხმაურის გავრცელება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას, ფონის სახით გათვალისწინებული იქნა მიმდებარედ არსებული ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინტენსივობები. ჩატარებულმა

გამოთვლებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის უახლოეს მოსახლესთან (დაახლოებით 195 მ) მიმართებით. ამასთან, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, დღეში გათვალისწინებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა არ აღემატება 44-ს, რაც განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან ანგარიშის შესაბამისად, დასახლებული პუნქტის მიმართულებით დაგეგმილია დამატებითი გამწვანების ზოლის მოწყობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 14 სექტემბერს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გზმ-ის ანგარიშის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანია შპს „ზეციხელი 2010“-ის, შპს „ლევი 2019“-ის და ქ. რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენელი და დაინტერესებული საზოგადოება. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად დამონტაჟებული გამწმენდი სისტემებისა, მიმდებარედ არსებული საწარმო ობიექტები მნიშვნელოვნად აბინძურებენ ატმოსფერულ ჰაერს, ხოლო მტვრის დანახვა შესაძლებელია ღამის საათებშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ლევი 2019“-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწარმოში დამონტაჟებულია უმაღლესი ხარისხის ფილტრები და მოსახლეობას შესთავაზა ობიექტზე ვიზიტი და დათვალიერება. სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენელი დაინტერესდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით რამდენად მოსალოდნელია ხმაურის დონის გაზრდა, ასევე თუ სად ხდება კლინკერის ჩამოცლა. შპს „ლევი 2019“-ის და გზმ-ის ანგარიში მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანია შპს „ზეციხელი 2010“-ის წარმომადგენლების განმარტებით, კლინკერის ჩამოცლას ახორციელებს დაქირავებული კომპანია. რაც შეეხება ხმაურის დონეს, აღინიშნა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ არის მოსალოდნელი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების გაზრდა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ასევე წერილობითი სახით.

შენიშვნები ეხებოდა საწარმოს ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას, მიმდებარე საწარმო ობიექტების სრულყოფილად განხილვას, გამწვანების ზოლის

მოწყობას, წარმადობის გაზრდით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ემისიებით მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდას, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების გაანგარიშების გადახედვას, სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხს და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა შპს „ლევ 2019“-ის მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „ლევ 2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. **შპს „ლევ 2019“-მა** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
3. **შპს „ლევ 2019“-მა** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. **შპს „ლევ 2019“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და 500 მეტრიან რადიუსში (მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის და მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებების მითითებით). მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. **შპს „ლევ 2019“-მა** საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებული იყოს ასევე

ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულისა და პროდუქციის მარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება, ასევე ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვა;

6. **შპს „ლეგ 2019“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა. ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. **შპს „ლეგ 2019“-მა** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
8. **შპს „ლეგ 2019“-მა** საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, 3 თვეში ერთხელ, უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით უახლოეს მოსახლესთან და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში წელიწადში ერთხელ. მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება. საქმიანობა განხორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;
9. **შპს „ლეგ 2019“-მა** საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. **შპს „ლეგ 2019“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე (მათ შორის უახლოესი მოსახლის მიმართულებით) გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;
11. **შპს „ლეგ 2019“-მა** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. **შპს „ლეგ 2019“** ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს **შპს „ლეგ 2019“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;**
14. ბრძანება ძალაში შევიდეს **შპს „ლეგ 2019“-ის** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.



ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

